გლობალიზაცია და ნაციონალური იდენტობა

საფეხბურთო დისკურსში

გლობალიზაციაც და ნაციონალური იდენტობაც საფეხბურთო დისკურსში ბაზირდება სამ ძირითად მდგენელზე, რომლებიც პირობითად შეიძლება გამოიხატოს:

ა) ნაცვალსახელ ,,ჩვენი“-ის გარშემო ფოკუსირებით;

ბ) სივრცით-სოციოკულტურული ორიენტირებით;

გ) ოპოზიციით ,,ჩვენ-ისინი“.

თითოეული მათგანი წარმოადგენს დისკურსული პრაქტიკის კომპონენტს, რომლებიც რეპრეზენტირებას უკეთებენ მოთამაშეთა, გულშემატკივართა და მთლიანობაში საფეხბურთო დისკურს-ერთობის წარმომადგენელთა ნაციონალური თვითშეგნების თავისებურებებს. საფეხბურთო დისკურსის აქტორად გლობალიზაციის კონტექსტში გვევლინებიან მსხვილბიუჯეტიანი მულტიკულტურული საფეხბურთო კლუბები, ხოლო საფეხბურთო დისკურსის აქტორად ნაციონალური იდენტობის კონტექსტში პირველ რიგში გვევლინებიან ნაციონალური საფეხბურთო ნაკრებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული პრაქტიკით საფეხბურთო დისკურსი ჩვენს მიერ წამოჭრილ საკითხებთან მიმართებაში ითვლება, რომ მეორადია, რადგან გულისხმობს გართობას და არ ასოცირდება პირველად სოციალურ სიკეთეებთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს მომენტი ასუსტებს სპორტის, როგორც კულტურის ერთ-ერთი მთავარი მდგენელის სტატუსს. მაგრამ ეს მიდგომა არაა მთლად დამაჯერებელი. ფეხბურთის შეჯიბრებითი ბუნება წარმოაჩენს მის მჭიდრო კავშირს ადამიანური ქცევის რთულ სისტემებთან და საზოგადოებრივ ღირებულებებთან. ფეხბურთი-თუ გავითვალისწინებთ მის მასობრიობას და გლობალურობას-ყოველთვის ხელს უწყობდა სხვადასხვა ერთობების გაერთიანებას, სოციალური ერთობების კონსოლიდაციას.

ფეხბურთის გაჩენიდან, პირველივე საერთაშორისო შეხვედრებიდან ფეხბურთი წარმოგვიდგება, როგორც ნაციონალურობის ,,აგენტი“, მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ,,გამცილებელი“, რომლის დახმარებითაც რეპრეზენტირება ხდებოდა საზოგადოების საინფორმაციო-იდეოლოგიური მიდგომების.

გუნდის წარმატება საერთაშორისო დონეზე გარდასახავს მის წევრებს ,,თანამედროვე პატრიოტიზმის“ ნაციონალურ სიმბოლოებად, აღვივებს ნაციის შიგნით ერთობის განცდას, ამასთანავე ბადებს მითებს, რომლებითაც საფეხბურთო მიღწევები უტოლდება ნაციონალური უპირატესობის განცდას.

ნაციონალური იდენტობა მრავალფეროვანია, დინამიკური და ძირითადად ფორმირდება კონტექსტის საფუძველზე. ეს შეიძლება იყოს: აუდიტორია, რომლისკენაც ის არის მიმართული, დისკურსული სიტუაცია და განსახილველი თემა.

ნაციონალური იდენტობის ფორმირება რთული პროცესია. დისკურსები ამ დროს შეიძლება განხილული იყოს , როგორც სივრცე ნაციონალური იდენტობის ახალი აქცენტების ფორმირებისათვის. შეჯერებული პოზიციაა, რომ ნაციონალური იდენტობა დისკურსის პროდუქტია. ვფიქრობ სპორტის დისკურსს ნაციონალური იდენტობის პრიზმაში თავისი როლი უნდა მიენიჭოს.

ნაციონალური იდენტობა ესაა თავისებური ჩარჩო-კონსტრუქცია, რომელიც საჭიროებს მუდმივ კვებას ისტორიებით, სიმბოლოებით, რიტუალებით, რომელთაც ნაციისათვის საერთო აღქმა აქვთ.

არსებითი კოლექტიური ღონისძიებები, რომლებიც კონსოლიდირებას უკეთებს ნაციონალურ ერთობას, წარმოგვიდგება ძირითადი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით, არჩევნებით და ა.შ. კონფლიქტები, ომები და ა.შ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აღსანიშნავია ეკოლოგიური ხასიათის კატასტროფები. ნაციონალური ერთობის განცდისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ნაციონალური ღონისძიებები (მათ შორისაა ნაციონალური დღესასწაულები). კოლექტიურ ღონისძიებებს, რომლებიც კონსოლიდირებას უკეთებს ნაციონალურ ერთობებს, შეიძლება თამამად მიეკუთვნოს ქვეყანაში ჩატარებული მასშტაბური სპორტული ღონისძიებები ან მონაწილეობა საკუთარი ნაკრები გუნდებით ქვეყნის გარეთ გამართულ ასეთ ღონისძიებებში. სპორტი წარმოგვიდგება, როგორც ღირებული კულტურული არენა, რომლის გავლითაც პოულობს მიმართულებას საჭირო ნაციონალური პრეზენტაციები.

თვალნათელია, რომ სპორტის გუნდური სახეობები ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ ნაციისა და საზოგადოების ღირებულებების კულტივაციასა და რეპრეზენტაციაზე. ფეხბურთი ეჭვგარეშეა, რომ არის მთავარი გუნდური თამაში და ზემოთ აღნიშნულში მისი როლი განსაკუთრებულია.

იმ დროს, როდესაც შიდა ჩემპიონატებში გამართული მატჩები ვერ ახდენენ გავლენას ნაციონალურ იდენტობაზე, თამაშები საერთაშორისო დონეზე, ნაკრებ გუნდს წარმოაჩენს მთლიანად ნაციასთან ასოცირებულ გუნდად.

მიმდინარე წლის 11 ივნისს სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა ფეხბურთში. ევროპული საფეხბურთო ასოციაციების კავშირის (უეფა) პრეზიდენტმა ალექსანდრ ჩეფერინმა მიმართა რა ევროპა-2020-ის ჩემპიონატის სტარტის წინ გულშემატკივრებს, განაცხადა: ,,ნაციონალური გუნდების ფეხბურთს განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპულ სპორტში. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყაროა ნაციონალური იდენტობისთვის და გააჩნია მაორგანიზებელი როლი, იმიტომ, რომ ის აერთიანებს მთელი ქვეყნის გულშემატკივრებს თავიანთი ნაციონალური ნაკრების მხარდასაჭერად“.

თუკი გავაანალიზებთ ნაციონალურ იდენტობას და გლობალიზაციას საფეხბურთო დისკურსში ზემოთაღნიშნული სამი მდგენელის (ნაცვალსახელ ‘’ჩვენ“-ის გამოყენება, სივრცით-სოციალურ-ეთნიკურ-მულტიკულტურული ორიენტირება და ოპოზიცია ,,ჩვენდა ისინი“) პრიზმაში, როცა ვიყენებთ კატეგორიას ,,ჩვენ“, ნაციონალური იდენტობის საფეხბურთო დისკურსში, ,,ჩვენ“-ის ქვეშ იგულისხმება ,,ჩვენი გუნდი“-,,ჩვენი ნაციის“ კონტექსტში, იმის გათვალისწინებით, რომ საფეხბურთო გუნდი გამოხატავს მეტონიმიურ კავშირს ზოგადად ნაციასთან. გლობალიზაციის საფეხბურთო დისკურსში, რომელიც კატეგორია ,,ჩვენ“-ის ქვეშ განიხილავს ,,ჩვენ გუნდს “ მულტიკულტურულ გლობალურ პროექტების კონტექსტში კლუბების დონეზე, სადაც ,,ჩვენ“ არიან ,,ჩვენ ფანები“ , კლუბების გულშემატკივრები მთელ პლანეტაზე.

სივრცით-სოციალურ-ეთნიკურ-მულტიკულტურული ორიენტირება საფეხბურთო დისკურსში ნაციონალური იდენტობის კონტექსტში ფოკუსირდება კონკრეტულ ქვეყანასა და ნაციასთან, მაშინ როდესაც საფეხბურთო დისკურსი გლობალიზაციის კონტექსტში არ ცნობს საზღვრებს და თავისი არსით მულტიკულტურულია.

რაც შეეხება ოპოზიციას ,,ჩვენ და ისინი“, თუკი ყველაფერი ნათელია საფეხბურთო დისკურსზე ნაციონალური იდენტობის კონტექსტზე ნაციონალური ნაკრებების კონტექსტში, გაცილებით რთულადაა საქმე საფეხბურთო დისკურსზე გლობალიზაციის კონტექსტზე მულტიკულტურული პროექტების პროდუქტების, საფეხბურთო კლუბების პრიზმაში. მულტიკულტურული კლუბები განსხვავებულია. მხედველობაში არ გვაქვს საფეხბურთო ფილოსოფია. პირველ რიგში განსახილველ

თემასთან მიმართებაში მხედველობაში მაქვს კლუბის ისტორია და ღირებულებები. ამ თვალსაზრისით ყურადღებას გავამახვილებდი ფრანკლინ ფოერის (Franklin Foer) წიგნზე ,,როგორ ხსნის ფეხბურთი სამყაროს“ (,,How Soccer Explains the World”). ავტორი ამოგზაურებს მკვითხველს მთელ მსოფლიოში სტადიონიდან სტადიონამდე და ცდილობს ახლებურად შეგვახედოს დღევანდელ მსოფლიო მოვლენებს, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ღირებულებებს. ფეხბურთი აქ გლობალიზაციის გარემოა. ამ სამყაროში ნათლად ჩანს თანამედროვე სამყაროს წინააღმდეგობრივი ტენდენციები. საფეხბურთო კლუბები წარმოადგენენ არა ქვეყნებს, არამედ გეოგრაფიულ ზონებს, სოციალურ კლასებს და პოლიტიკურ იდეებს. გაანალიზებულია კლუბების ღირებულებები დაწყებული ,,ცრვენა ზვეზდით“ და დამთავრებული ,,ბარსელონით“. არის ბევრი სადავო, მაგრამ უდავოდ საინტერესო იდეა.

ერთ-ერთ გამოსვლაში ფრანკლინ ფოერი ამბობს: ,,იმდენად რამდენადაც ფეხბურთი ყველაზე მეტადაა ჩართული გლობალიზაციის პროცესში, ვიდრე მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერი სხვა მოვლენა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს თამაში იქცეს იდეალურ ლაბორატორიად გლობალიზაციასთან დაკავშირებული თეორიების შესამუშავებლად“

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ მიზანშეწონილობას, მოვახდინოთ საფეხბურთო სამყაროში მიმდინარე პროცესების ანალიზი ჩვენს მიერ შემოთავაზებულ საფეხბურთო დისკურსების პრიზმაში (ნაციონალური იდენტობა და გლობალიზაცია), ახალ იმპულსს აძლევს ევროპის მიმდინარე ჩემპიონატი ფეხბურთში. და კიდევ ერთს დავამატებ, ერთ შემთხვევაში სრულდება კლუბის ჰიმნი და მეორე შემთხვევაში ქვეყნის ჰიმნი, ვფიქრობ ამით ბევრ კითხვაზეა პასუხი გაცემული.